განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

02/06/2026

MES 8 26 0000657386

ბრძანება

თბილისი

„პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლებისა და კოლეჯების სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების განხორციელების მიზნით, განაცხადების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1864110 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლებისა და კოლეჯების სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის, „ზვიად გაბისონიასათვის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 27 მაისის №630010 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 13 მაისის №566098 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლებისა და კოლეჯების სამეწარმეო ეკოსისტემის

განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების განხორციელების მიზნით, განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 15 ივნისიდან 2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი
ზვიად გაბისონია